“კრიზისი სასაქართველოში სამუშაო ადგილების შემცირებით გამოვლინდება”

გაზეთი “ბანკები და ფინანსები” – 30 დეკემბერი – 5 იანვარი, № 27, 2008

– ბატონო ლადო, რა მიგაჩნიათ 2008 წლის ისეთ ეკონომიკურ მოვლენად, რომელმაც თავისი პოზიტიური თუ ნეგატიური მხარეებით, დაღი დაასვა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითრებას?

– წლის მთავარი მოვლენა იყო ომი და ამიტომაც, მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკაზე საუბარი გამიჭირდება. ომს საკმაოდ მძიმე ეკონომიკური შედეგები მოჰყვა. 2008 წელი, ბევრი უარყოფითი, მაგრამ მნიშვნელოვანი მოვლენით გამოირჩევა. საქართველოს ეკონომიკამ 5 დღიან ომს გაუძლო. კიდევ კარგი, რომ კონფლიქტი უფრო ხანგრძლივი არ იყო. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს არათუ ეკონომიკა დაინგრეოდა, ქვეყანა სახელმწიფოებრიობა-საც დაკარგავდა. ომის შედეგად, საქართველოს საბანკო სისტემა კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. მოსახლეობამ ბანკებიდან დანაზოგები გაიტანა, რის შედეგადაც ბანკებმა ნახევარ მილიარდიანი რესურსი დაკარგეს და ერთი თვის თავზე, ამ რესურსის მხოლოდ 30% აღდგა. უნდა აღნიშნოს, ამ სიტუაციაში ეროვნულმა ბანკმა აბსლუტურად სწორად იმოქმედა. განაახლა რეფინანსირების ოპერაციები, შემაცირა მისი საპროცენტო განაკვეთი, ბანკებისთვის აუცილებელი რეზერვების ნორმის მაჩვენებელიც შეამცირა. რუსულმა აგრესიამ ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინების პროცესიც შეანელა. ინვესტიციების შემცირების მიზეზი, საქართველოში არსებული პოლიტიკური რისკის ფაქტორი და გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში თავისუფალი საინვესტიციო რესურსის სიმწირე გახლავთ. იმავ დროულად, უცხოური ინვესტიციის შემცირებამ გამოიწვია უცხოური ვალუტის ნაკლებობა. “ჰოლანდიური დაავადება”, რითაც ქვეყანა

შეპყრობილი იყო 2004 წლიდან, 2008 წლის აგვისტოს შემდეგ პრაქტიკულად დასრულდა.

2008 წლის მოვლენებს შორის აღსანიშნავია 22 ოქტომბრის დონორთა კონფერენციის გადაწყვეტილება, რის შედეგადაც საქართველომ 4,5 მლირდი დოლარის ოდენობის დახმარება მიიღო. ეს თანხები ქვეყანაში ახალი სავალუტო რეზერვის შემოდინებას უზრუნველყოფს და საბანკო კრიზისის ჩამოყალიბებას შეუშლის ხელს.

2008 წლის მოვლენებში გამორჩევა, ის ფაქტი რომ ქვეყანამ ევროობლიგაციები პირველად გამოუშვა. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ საქართველოს მთავრობამ თავის მოსახლეობას ნახევარ მილიარდიანი ვალი „აკიდა". მისი გადახდა საქართველოს 2013 წელს უწევს. თუმცა, ეს წელი კონსტიტუციის მიხედვით საპრეზიდენტო არჩევნების წელია და ვერც ერთ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა ნახევარ მილიარდიან რესურს ვალის გადასახდელად ბიუჯეტში ვერ გაითვალისწინებს. ამიტომ ახალი საგარეო ვალის აღება აუცილებელი გახდება.

2008 წელს, ლადო გურგენიძის ინიციატივით და შემდგომში პარლამენტის მხარდაჭერით ეროვნული ბანკის ინსტიტუციური დაშლა და დასუსტება მოხდა. თანაც, მთელი წლის განმავლობაში ეროვნულ ბანკს კანონით დამტკიცებული პრეზიდენტი არ ჰყავს, მას მართავს მოვალეობის შემსრულებელი.

2008 წელი ასევე გამორჩევა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევ-ნებით, რომელზეც საკმაოდ დიდი თანხები დაიხარჯა. მათ შორისაა ის თანხებიც რომელიც ბიზნესს შეაწერეს. მთელ მსოფლიოში არჩევნები სწორად იმიტომ ტარდება, რომ დემოკრატია განვითარდეს და ქვეყანამ საგარეო ნდობა მოიპოვოს კაპიტალის მოსაზიდად. ჩვენთან პირიქით არის, უნდათ რომ არჩევნებისგან საფრთხობელა შექმანან. თუმცა, ჩვენთან ყოველი არჩევნები ბიზნესისთვის მართლაც საფრთხობელაა!

– რა გახდა ლარის დევალვაციის მიზეზი და რამდენად სწორი იყო ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება ლარის კურსისი ასე სწრაფ გაუფა-სურებასთან დაკავშირებით?

– შემოდგომიდან მოყოლებული საქართველო ლარის დევალვაციის ობიექტური პროცესის წინაშე დადგა. ეროვნული ბანკს ლარის კურსის ცვლილება მცოცავი რეჟიმით უნდა განხერციელებინა. სამწუხაროდ ასე არ მოხდა. 2008 წლის 7 ნომებერს, (მე ამ დღეს „მწვანე პარასკევი" ვუწოდე) ლარის ავტორიტეტი და ღირებულება დოლართან მიმართებაში სერიოზულად შეილახა. ასეთი რყევის შედეგად კი, ნდობა ლარის მიმართ, როგორც მოსახლეობაში, ისე ბანკებში შესუსტდა.

– ლაშა ჟვანია საქართველოს ეკონომიკური განვითარების ახალი მინისტრია. მასაა და ბენდუქიძეს შორის დაპირსიპრებაზე მითქმა-მოთქმაა. თქვენი აზრით რამდენად რეალურია ეს ფაქტი, და შეირყევა თუ არაა ბენდუქიძის პოზიციები საქართველოს ხელისუფლებაში ჟვანიას მოსვლის შემდეგ?

– მთავარი ისაა, რომ საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო შინაარსის მიხედვით, სამწუხაროდ, აღარ აქვს: მის ნგრევა ჯერ კიდევ შევარდნაძის ეპოქაში დაიწყო, ბატონმა ბენდუქიძემ კი ეს საქმე ბოლომდე მიიყვანა. ასეთ შემთხვევაში, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, იმას თუ ვინ იქნება არარსებული სამინისტროს ხელმძღვანელი. რაც შეეხება ბენდუქიძე-ჟვანიას დაპირსპირებას, ეს უფრო მგონი საზოგადოებას უნდა რომ ბენდუქიძეს ვინმე დაუპიროსპირდეს. უბრალოდ, ახალმა მინისტრმა, ბატონმა ჟვანიამ თქვა, მეც გამიწიეთ ანგარიშიო. მერე რა რომ ის ეკონომისტი არ არის, ან მისი უშუალო წინამორბედები ტოვებდნენ კი ეკონომისტობის შთაბეჭდილებას, მიუხედავად ეკონომისტის დიპლომის ფლობისა. *რაც შეეხება ბატონ კახა ბენდუქიძეს მისი გაშვება, რომ უნდოდეს პრეზიდენტს, ის ამას დიდი ხანია გააკეთებდა: ბატონი კახა არც ჯაბა იოსელიანია, რომ მის უკან მხედრიონი იდგეს, და არც თენგიზ კიტოვანია, რომ მას ზურგს გვარდია უმაგრებდეს, ასე რომ მისი გაშვება სულაც არ უნდა იყოს პრობლემა; ხოლო, თუ ბატონი ბენდუქიძის უკან რუსული ჯარია, მაშინ გვითხრან ეს და უკვე გასაგები მაინც იქნება, თუ რატონ ჭირს მისი გაშვება...*

– ბატონმა სააკაშვილმა განაცხდა, რომ მსოფლიო ფინანსური კრიზისი საქართველოში შემდგომი 6 თვის განმავლობაში აისახება. თქვენი აზრით, რა შედეგებით აისახება ეს კრიზისი საქართველოზე და რისი იმედი უნდა ჰქონდეს საქართველოს პრეზიდენტს 6 თვის შემდეგ?

– ბუნებრვია, გლობალური კრიზისი საქართველოზეც თავის ზეგავლენას მოახდენს. სხვათაშორის, თბილისი და მოსკოვი თავისი შიდა ეკონომიკური პრობლემების გლობალურ კრიზისზე გადაბრალებაში, ძალიან ჰგავანან ერთმანეთს. კრიზისი საქართველოში სამუშაო ადგილების შემცირდებთ გამოვლინდება, შენარჩუნდება ინფლაციის მაღალი დონე. არ ვიცი პრეზიდენტი რას ელოდება 6 თვის შემდეგ, მაგრამ მე პოზიტიურ პროგნოზებს ვერ გავაკეთებ, თუნდაც იმიტომ, რომ მოსალოდნელი კრიზისის დასაძლევად, მთავრობაში პროფესიონალები არ გვყვანან. პირველ რიგში, საჭიროა სერიოზული ინსტიტუციური ცვლილებები, ეროვნული ბანკის და ეკონომიკის სამინისტროს აღდგენა, ხოლო სტატისტიკის დეპარტამენტის დამოუკიდებელ ინსტიტუტად ჩამოყალიბება.

– ბატონო ლადო, საქართველოში საბანკო კრიზისი ომამდე დაიწყო, მაშინ როცა მათ კრედიტები გააძვირეს. გავიხსენოთ რა მოხდა მაშინ და როგორ მოვედით ამ მდგომარეობამდე?

– კრედიტების გაძვირება დაიწყო იმიტომ, რომ იმ დროისთვის მსოფლიოში გლობალური ფინანსური კრიზისის ელემენტები იკვეთებოდა. იაფი კრედიტი ევროპის საკრედიტო ბაზარზე უკვე აღარ არსებობდა. ამიტომ ბანკებს საპროცენტო განაკვეთის აწევა მოუხდათ. ამის მოყვა, რუსული აგრესია. დღეს ბანკებში შემცირებები დაიწყო და ეს ბუნებრივია. უნდა ითქვას, რომ გარდა გლობალური ფინანსური კრიზისისა, თავად ბანკების მიერ დაშვებული შეცდომებიც მათ სფეროში მთელი რიგი პრობლემების მიზეზი ხდება.

– ბატონო ლადო, როგორ ფიქრობთ, საგადასახდო კანონმდებლობის ცვლილება ეროვნული მწარმოებლურობის ასაღორძინებლად ერთდაერთი საშალებაა?

– ერთდაერთი ნამდვილად არა. საგდასახდო ცვლილებები აუცილებელია. თავის დროზე საშემოსავლო და სოციალური გდასახადების "გაერთიანება" დიდი შერცდომა იყო. დღეს 25%-დან საშემოსავლო გადასახადის 20%-მდე დაწევა კარგია, მაგრამ უნდა გვახსოვდეს რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინ ის 12% იყო. როცა არჩევნების დროს ბიზნენსს ფულს შეაწერ ხოლო შემდეგ გადასახადს შემცირებ, ეს რა ბიზნესის ხსნაა? ამ სფეროს განვითარებისთვის ქვეყანაში მაკროეონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობაა აუცილებელი.

წლის პარადოქსი

2008 წლის ეკონომიკური პარადოქსია, ის რომ საქართველოს მთავრობის მიერ დაშვებული შეცოდმებისა და გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში, წაგებულ ომს დადებითი შედეგებიც მოჰყვა. რომ არა ომი, საქართველოს დონორები 4,5 მილიარდი დოლარის ოდენობის დაახმარებას არ გამოუყოფდნენ. ასე, რომ წლის ყველაზე დიდი პარადოქსია ის, თუ როგორ გვიმსუბუქებს რუსთთან წაგებული ომი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ სიდუხჭირეს.

„მე შემიძლია მთავრობის მიერ გამოთქმული წლის ფრაზაც გითხრათ: „დაუნდობელი მენეჯმენტი".

ესაუბრა ზურაბ კუკულაძე